შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

შესავალი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მთავრობის მიერ მისთვის მინიჭებული მანდატისა და უფლებამოსილებების ფარგლებში, კოორდინაციას უწევს ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პოლიტიკის, ასევე, შესაბამისი სახელმწიფო სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების პროცესს:

- ერთის მხრივ, საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმდინარე ოკუპაციის შედეგად ხელოვნურად გაყოფილი საზოგადოების წევრებს შორის შერიგებისა და ჩართულობის მიმართულებით;

- მეორე მხრივ, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართებით, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით.

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დეოკუპაციისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძალისხმევის პარალელურად ხორციელდება. შესაბამისად, ჩართულობისა და შერიგების პოლიტიკა კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებამდე მიზნად ისახავს:

- ომით ხელოვნურად გაყოფილ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული, ისტორიულად დამკვიდრებული მშვიდობიანი და ჰარმონიული ურთიერთობების აღდგენას სახალხო დიპლომატიის, ნდობის მშენებლობისა და საერთო ინტერესის საკითხების გარშემო თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით;

- ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობის გაუმჯობესებას და უკეთესი მომავლის პერსპექტივის შექმნას საჭიროებებზე ორიენტირებული სპეციალური მექანიზმების, მათ შორის, ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებითა და ევროპული ინტეგრაციის შედეგად შექმნილი შესაძლებლობების გაზიარების გზით.

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა სტატუს-ნეიტრალური მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება, რათა ოკუპირებულ რეგიონებში ლეგიტიმურად მცხოვრებ მოსახლეობას მაქსიმალურად მიეცეს იმავე პროგრამებითა და სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც ხელმისაწვდომია დანარჩენ საქართველოში მცხოვრები პირებისთვის.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელ მოქალაქეთა მიმართებაში განიხილება, მიზნად ისახავს თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული, მულტიკულტურული და დემოკრატიული საზოგადოების შემდგომ განმტკიცებას კონსტიტუციური და მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, კიდევ უფრო განმტკიცდეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის.

პოლიტიკის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ათწლიანი სახელმწიფო სტრატეგია(2021-2030წწ), რომელიც ორიენტირებულია მდგრად გაუმჯობესებასა და არსებითი შედეგების მიღწევაზე 5 ურთიერთდაკავშირებული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში. კერძოდ:

1. სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
2. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
3. თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა;
4. სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია;
5. კულტურათაშორისი დიალოგი.

ორივე მიმართულებით მოქმედი სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზნები ხორციელდება, ერთიანი სამთავრობო მიდგომის ფარგლებში, მჭიდრო უწყებათაშორისი კოორდინაციით, სტრატეგიულ პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობით. აღნიშნულ პროცესში

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტთან, შესაბამისი რეგიონების ადგილობრივ თვითმმართველობებთან, სახალხო დამცველის აპარატთან, ისევე როგორც - უშუალო კავშირს ადგილობრივ მოსახლეობასთან, როგორც გამყოფი ხაზის გასწვრივ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სოფლებში, ისე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში.

წინამდებარე ანგარიშში, ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტების თანახმად, კონსოლიდირებული სახით წარმოდგენილია სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის შედეგები 2024 წელს, როგორც შერიგებისა და ჩართულობის, ისე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში.

შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკა - სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ"

ოკუპირებულ რეგიონებში არსებული რეალობისა და მიმდინარე უკანონო ოკუპაციის თანმდევი გამოწვევების მიუხედავად, ურყევად გრძელდებოდა საქართველოს მთავრობის თანმიმდევრული და პრინციპული ძალისხმევა, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებული სამშვიდობო პოლიტიკის, მათ შორის, ნდობის აღდგენისა და ჩართულობის სხვადასხვა, დეპოლიტიზირებული, სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის განხორციელების გზით, რაც შესაბამის შედეგებში აისახება. კერძოდ:

აქტიურად გრძელდებოდა ომით ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის ეფექტიანი კომუნიკაციის, სახალხო დიპლომატიის, სექტორული თანამშრომლობის და ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების მხარდაჭერა ყველა ხელთ არსებული ფორმალური თუ არაფორმალური არხების მეშვეობით და ამ მიზნით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობა. 2024 წელს, ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით 68 ახალი ნდობის აღდგენის პროექტი იქნა ინიცირებული, ხოლო ჯამში 70-ზე მეტი პროექტი განხორციელების პროცესშია. სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები აგრძელებდნენ მონაწილეობას საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა პროექტებში, რომელთა მიზანს წარმოადგენს ომით გაყოფილ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენა და თემატური დიალოგი.

მიმდინარე წლის განმავლობაში გრძელდებოდა ინტენსიური მუშაობა სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ შემდგომი ეფექტიანი განხორციელების მიზნით, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. **ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის**

გამყოფი ხაზების გასწვრივ კონკრეტული სავაჭრო-ეკონომიკური პროექტებისა და ინიციატივების დაფინანსების და ამგვარად, ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის დიალოგისა და საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობის გაღრმავების, ასევე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის მიზნით, შედეგზე ორიენტირებულ საქმიანობას განაგრძობდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული ფინანსური მექანიზმი - „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“.

2024 წელს ჩატარებული მეხუთე საგრანტო კონკურსის ფარგლებში, ფონდმა ოკუპირებული რეგიონებიდან მიიღო 62 კვალიფიციური ბიზნეს-განაცხადი, საიდანაც დაფინანსდა 16 ერთობლივი ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსური ბიზნეს ინიციატივა *(ფონდის ამოქმედებიდან - 2020 წლის სექტემბრიდან დღემდე, საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან, ჯამში, 400-მდე ბიზნეს-პროექტი დარეგისტრირდა, რომელთაგან დაახლოებით 120 პროექტი დაფინანსდა).* აღსანიშნავია, რომ საშუალოდ მშვიდობის ფონდის ბენეფიციართა 38%-ს ქალები შეადგენენ.

ფონდის საქმიანობის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა ფართომასშტაბიანი შეხვედრა საქართველოში აკრედიტებულ ელჩებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების მიმდინარეობისა და ერთობლივი ძალისხმევით მიღწეული შედეგების გაცნობა, არსებულ გამოწვევებსა და გამოკვეთილ ტენდენციებზე მსჯელობა, ასევე სამომავლო ხედვების და შემდგომი თანამშრომლობის კონკრეტული გზების განხილვა წარმოადგენდა.

2. **ხარისხიანი განათლების შესაძლებლობების უზრუნველყოფა/განვითარება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის**

ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხარისხიან განათლებაზე წვდომის კუთხით, გრძელდებოდა ძალისხმევა მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში დანერგილი სხვადასხვა საშეღავათო მიდგომის - გამარტივებული

ჩარიცხვის, განათლების აღიარების, პროფესიულ თუ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის მექანიზმების შემდგომი განვითარების მიმართულებით. 2024 წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო დაფინანსებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან უგამოცდოდ ჩაირიცხა 193 სტუდენტი; ამასთან, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო, ე.წ. „1+4" პროგრამის მეშვეობით, უმაღლეს სასწავლებლებში ასევე ჩაირიცხა 4 ოსურენოვანი ახალგაზრდა, ხოლო საკუთარი სურვილით ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შედეგად - 6 ახალგაზრდა ოკუპირებული აფხაზეთიდან, რომელთაგანაც საუკეთესო შედეგების მქონე პირს გადაეცა დიმიტრი გულიას სახელობის სტიპენდია.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით 2024 წელს განახლდა სკოლისშემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამა, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ძალისხმევით სრულფასოვანი სახით ამოქმედდა. აღნიშნულ პროგრამაში ოკუპირებული რეგიონებიდან 18 აბიტურიენტი ჩაირიცხა. პროგრამა გულისხმობს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების უკეთ მომზადებას უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად და ინტეგრაციის ხელშესაწყობად, რაც ითვალისწინებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში უფასო, ინტენსიურ და საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას ქართულ ენასა და მათთვის სასურველი სპეციალობით უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო დარგობრივ საგნებში. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან სწავლის საფასურით, ყოველთვიური სტიპენდიით და საცხოვრებლით.

3. ადგილობრივი მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისზე წვდომის გაუმჯობესება

სამშვიდობო ინიციატივის შესაბამისად, გაგრძელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისებზე, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობაზე და თანმდევ დოკუმენტებზე, გამარტივებული წესით წვდომის უზრუნველყოფა. 2024 წელს საქართველოს მოქალაქეობა ოკუპირებული რეგიონებიდან 189 ადამიანმა მიიღო *(2023 წელს აღნიშნული რიცხვი შეადგენდა 142-ს)*.

საქართველოს მთავრობა განაგრძობდა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი განზომილებების აქტიურ განხორციელებას. ოკუპირებული რეგიონებიდან გადმოსულ მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს ჩაერთოს ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამაში და მიიღოს მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული მაღალკვალიფიციური სერვისი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ

სამედიცინო დაწესებულებებში. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ჯანდაცვის „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ შეუფერხებელი და ეფექტიანი ფუნქციონირება და მის ფარგლებში სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების გაწევა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის. 2024 წელს, რეფერალური პროგრამის მომსახურებით სარგებლობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შუამდგომლობა გაეწია ოკუპირებული რეგიონების 1 514 მოსახლეს *(1 202 - აფხაზეთის რეგიონიდან და 312 - ცხინვალის რეგიონიდან).*

გარდა ამისა, სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ფარგლებში ამოქმედებული პირადი ნომრით რეგისტრირებულმა, ასევე, სტატუს-ნეიტრალური პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მქონე, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებმა 66-მა პირმა ისარგებლა უფასო სამედიცინო დახმარებით „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ მიღმა არსებული ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, როგორიც არის, მაგალითად, B და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, ქიმიოთერაპია, მენტალური ჯანმრთელობის პროგრამა, აივ-ინფექცია/შიდსის მართვა, გულის თანდაყოლილი მანკების მკურნალობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე პირების მხარდაჭერისა და პაციენტების, ასევე მათი თანმხლები პირების, უსასყიდლოდ განთავსებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო პროცესების მართვის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ასოციაციას ,,მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია", ქუთაისში მდებარე შენობა-ნაგებობა დროებითი სარგებლობის უფლებით გადაეცა. 2024 წლის ივლისში სახელმწიფო მინისტრმა მოინახულა აღნიშნულ შენობაში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, განახლებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის დაათვალიერა შშმ პირებზე ადაპტირებული სივრცე და ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსულ პაციენტებსა და მათ თანმხლებ პირებს შეხვდა.

ადგილზე არსებული ჯანდაცვის გამოწვევების დაძლევის მიზნით, გრძელდებოდა მუშაობა აფხაზეთის რეგიონის მოსახლეობის იმუნიზაციის და გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინებით, დიაბეტის, ტუბერკულოზის და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტებით, ასევე, შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობის მომარაგების მიმართულებით, რომელთა ღირებულებამ დაახლოებით მილიონი ლარი შეადგინა. ჯამში, ყოველწლიურად, საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯული თანხა 8 მილიონამდე ლარს აღწევს.

სოფლის მეურნეობის კუთხით ადგილზე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა მცენარეთა და ცხოველთა დაცვის

სხვადასხვა, მათ შორის, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებები, რომელთა ღირებულებამ 500,000 ლარზე მეტი შეადგინა.

ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა პროგრამისა და სერვისის თაობაზე დეტალური ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან მჭიდრო უწყებათაშორისი თანამშრომლობით, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობითა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, შექმნა ერთიანი საინფორმაციო პორტალი **(www.openbf.info)**.

პორტალის უმთავრესი დანიშნულებაა მოსახლეობისათვის ერთიან სისტემაში თავმოყრილი, სრულყოფილი და დეტალური ინფორმაციის მაქსიმალურად მარტივ და გასაგებ ენაზე მიღების ციფრული/ონლაინ წყაროს შექმნა, რომლის მეშვეობითაც მათ საშუალება ეძლევათ დაუბრკოლებლად გაეცნონ ზემოხსენებული პოლიტიკით გათვალისწინებული სხვადასხვა მიმართულებით - ჯანდაცვის, განათლების, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, სამოქალაქო სერვისების მიღებისა და სხვა, მათთვის მოქმედ/ხელმისაწვდომ საჯარო სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობებს, ასევე, პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებულ სამშვიდობო ინიციატივებს. პორტალი ხელმისაწვდომია ქართულ, აფხაზურ, ოსურ და ინგლისურ ენებზე.

საინფორმაციო პორტალის პრეზენტაცია 2024 წლის 2 აგვისტოს გაიმართა პარლამენტის, სახელმწიფო უწყებების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩებოდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენა, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის და მინისტრის აპარატის წარმომადგენლების გამყოფ ხაზებთან მდებარე სოფლების მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციის გზით. 2024 წელს შეხვედრები გამყოფ ხაზთან მდებარე 10-მდე სოფლის ადგილობრივ მოსახლეობასთან გაიმართა.

მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების კუთხით, აქტიურად აგრძელებდა მუშაობას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, რომელსაც თანათავმჯდომარეობს სახელმწიფო მინისტრი. 2024 წელს, ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით, 14, 526 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება; ამასთან, 2000-მდე სტუდენტს სახელმწიფოს მიერ დაუფინანსდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2023-2024 და 2024-2025 სასწავლო

წლების შესაბამისი სემესტრების სწავლის საფასური. 2024 წელს ასევე გრძელდებოდა გამყოფი ხაზის გასწვრივ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სასოფლო-სამეურნეო, ჯანდაცვითი და სხვა მიმართულებებით პროგრამების განხორციელება.

2024 წელს დასრულდა სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზიანებული იმ 28 სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა მფლობელებს სახელმწიფოსგან კომპენსაცია არ მიუღიათ და უზრუნველყოფილ იყვნენ დროებითი საცხოვრებლით. განხორციელებულმა პროექტმა ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარ, რეაბილიტირებულ, კეთილმოწყობილ სახლებში დაბრუნების საშუალება მისცა. მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩებოდა სამშვიდობო პროცესში ქალთა როლისა და ჩართულობის გაძლიერება, მათ შორის „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, ერთი მხრივ, სახალხო დიპლომატიის ინიციატივებში და ნდობის აღდგენის პროექტებში ქალთა მონაწილეობის მხარდაჭერის, ხოლო მეორე მხრივ - კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების გამოვლენისა და მათზე რეაგირების გზით. სხვადასხვა ფორმატში იმართებოდა სახელმწიფო მინისტრისა და აპარატის წარმომადგენლების ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე, გამყოფ ხაზებთან მდებარე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სოფლებში მცხოვრებ ქალებთან.

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის, ასევე, ამ კუთხით არსებული დაცვის მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2024 წელს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჟამში, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარქუშაანში, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბანოსა და საციხურში და ქ. ზუგდიდში, სოფელი განმუხურისა და სოფელი რუხის მოსახლეობის მონაწილეობით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები გამყოფ ხაზთან მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათი ოჯახის წევრებთან, რომლებსაც ჯამში 125 ადგილობრივი მოსახლე, მათ შორის 2 შშმ პირი დაესწრო.

შემდგომი განვითარებისა და ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით, გამყოფ ხაზებთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გაძლიერებისა და მათი როლის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ცვლილებები განხორციელდა მოქმედ პროგრამაში „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი". კერძოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, გაეროს ქალთა ორგანიზაციას (UN WOMEN) და ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ინტენსიური მუშაობის შედეგად, 2025 წლიდან

აღნიშნული ტრენინგ-კურსის მონაწილე, გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებს შესაძლებლობა ექნებათ ეკონომიკური აქტივობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების მიღებასთან ერთად, პროგრამის თანმდევ მცირე სამეწარმეო გრანტების კონკურსშიც ჩაერთონ. სასწავლო კურსი 2024 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრებმა 28 ქალმა გაიარა ქ. გორსა და ქ. ზუგდიდში.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდების როლის გაძლიერების ხელშეწყობას, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2021 წელს დაარსებული ინიციატივის „მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის" განხორციელების გაგრძელების გზით. 2024 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში გამოცხადებული კონკურსის შედეგების საფუძველზე გამარჯვებულები გამოვლინდა ორ ნომინაციაში - „საუკეთესო სამშვიდობო საქმიანობა" და „საუკეთესო სამშვიდობო იდეა". გამარჯვებული ახალგაზრდების დაჯილდოება გაიმართა 24 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ღონისძიების ფარგლებში, სადაც მათ სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ასევე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილემ ბიორნ ბერგემ. თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცა ფულადი პრემია 3000 ლარის ოდენობით. ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ევროპის საბჭოს მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, გამარჯვებულმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სტრასბურგში გამართულ დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობით, გრძელდებოდა საქართველოში 90-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს გაუჩინარებულთა ხვედრისა და ადგილსამყოფელის დადგენას და მათი ოჯახების თანადგომას.

პროგრამის ფარგლებში, 2024 წელს, იდენტიფიცირებულ იქნა აფხაზეთის რეგიონში უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეული 28 პირის ნეშტი (17 სამხედრო, 11 მშვიდობიანი მოქალაქე), რომლებიც ოჯახებს გადაეცა სათანადო პატივით დაკრძალვის მიზნით.

2024 წელს ქ. სტამბოლში გაიმართა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებზე ICRC-ის ეგიდით მოქმედი, ქართველი და აფხაზი მონაწილეებისაგან შემდგარი საკოორდინაციო მექანიზმის მე-16 შეხვედრა. ასევე, ჩატარდა ამავე მექანიზმის ფარგლებში მოქმედი სამედიცინო-ანთროპოლოგიური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის მეთვრამეტე და მეცხრამეტე შეხვედრა.

სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ფარგლებში, მნიშვნელოვნად გააქტიურდა უწყებათაშორისი კოორდინირებული თანამშრომლობა. ამასთან, ICRC-ის ინიციატივით ჩატარებული სტრატეგიული კვლევის დასკვნების და რეკომენდაციების თანახმად, გრძელდებოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების პროგრამის ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ორიენტირებულია შესაბამისი ჩართული სახელმწიფო უწყებების როლის ეტაპობრივ გაზრდაზე.

2024 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის ხელი მოეწერა მონაცემთა გაზიარების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც მიზნად ისახავს 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების პროგრამის ტრანსფორმაციის პროცესში, სახელმწიფო უწყებების როლის ეტაპობრივად გაზრდის გათვალისწინებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის მონაცემთა გაზიარებას. მხარეთა მიერ მონაცემების გაზიარება ემსახურება ოჯახების თანადგომის მიმართულებით ჰუმანიტარული საქმიანობის მიზნებს, რაც მათ შორის ეფუძნება ოჯახებთან კომუნიკაციის, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების ძალისხმევის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერის ამაღლებისა და მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვის თვალსაზრისით. ამასთან, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების თანადგომის მიმართულებით დანერგილი, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის პრაქტიკის განგრძობადობის უზრუნველსაყოფად, გამოცხადდა საგრანტო კონკურსი და გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის უკვე გაზრდილი კომპეტენციისა და ფუნქციების გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების პროცესში ოჯახების ცენტრალური როლიდან გამომდინარე, აპარატის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, ასევე შესაბამის რეგიონებში ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, აღინიშნა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე (30 აგვისტო) და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სახელზე დაწერილი ხატის- *„ღვთისმშობლის სამი სიხარულის"* დღე (8 დეკემბერი), რასაც უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულთა ხსოვნისადმი სათანადო პატივის მიგების და მათი ოჯახების თანადგომის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღონისძიებები დედაქალაქის პარალელურად, ერთდროულად საქართველოს ოთხ რეგიონში გაიმართა, რომლებსაც უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახის წევრებთან ერთად, ICRC-ის, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი ყველა შესაძლებლობას იყენებდა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, როგორც შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, მათ შორის, სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" განხორციელების პროცესში მიღწეული შედეგების, არსებული გამოწვევებისა და სამომავლო ხედვების, ისე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე ჰუმანიტარული და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციისას, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მათ შორის, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის, თავისუფალი მიმოსვლისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფის, უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უმოკლეს დროში გათავისუფლებისა და საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფაში მონაწილე პირების პასუხისმგებლობაში მიცემის აუცილებლობაზე.

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის მიზნების რეალიზებისა და ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე უფლებრივი და ჰუმანიტარული მდგომარეობიდან გამომდინარე ერთობლივი, კოორდინირებული ქმედებების განსაზღვრის მიზნით, 2024 წელს არაერთი შეხვედრა გაიმართა საერთაშორისო პარტნიორებთან, როგორც სახელმწიფო მინისტრის, ასევე აპარატის შესაბამისი ქვედანაყოფების წარმომადგენელთა დონეზე. გრძელდებოდა ინტენსიური თანამშრომლობა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ევროკავშირის, აშშ-ის, გაერო-ს, ეუთო-ს, ევროსაბჭოს და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პარტნიორი სახელმწიფოების დელეგაციებთან, ასევე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებთან.

2024 წელს ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების სამი (მე-60, 61-ე და 62-ე) რაუნდი, სადაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი მეორე - ჰუმანიტარულ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა. შეხვედრების ფარგლებში, ქართველი მონაწილეების მიერ განიხილებოდა ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები, მათ შორის, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა, სამედიცინო დახმარებაზე, საარსებო წყაროებსა და საკუთრებაზე წვდომის შეზღუდვა, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ერგნეთის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) 2024 წელს გამართულ 6 შეხვედრაში, სადაც განიხილებოდა ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ადამიანის უფლებების დარღვევები და ადგილზე არსებული უსაფრთხოების გარემო, ასევე მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე ჰუმანიტარული საკითხები. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებსა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, გრძელდებოდა ძალისხმევა უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ჰუმანიტარულ ჭრილში გათავისუფლების, ისევე როგორც გალის IPRM შეხვედრების აღდგენის მიმართულებით.

2024 წელს სახელმწიფო მინისტრმა, სამთავრობო დელეგაციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-8 სხდომაში, რომელიც ბრიუსელში, ევროპულ საბჭოში გაიმართა, სადაც დიდი ყურადღება დაეთმო, საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარების, საოკუპაციო ხაზით გაყოფილი საზოგადოების შერიგების და ევროკავშირის შემდგომი ჩართულობის და მხარდაჭერის გზების განხილვას.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, ასევე, მონაწილეობა მიიღო ქ. ჟენევაში გამართულ ბავშვის უფლებათა კომიტეტის 96-ე სესიაში, სადაც „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების შესრულების შესახებ საქართველოს მიერ წარდგენილი გაერთიანებული მე-5 და მე-6 პერიოდული ანგარიშების საფუძველზე, კომიტეტს ინფორმაცია მიეწოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრები ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის არსებული საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართულ ორმხრივ და მრავალმხრივ შეხვედრებზე აქტიურად განიხილებოდა ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებები და შემდგომი კოორდინირებული ძალისხმევის შესაძლებლობები. ამ კუთხით, ასევე აღსანიშნავია აფხაზეთში სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში (ASP) მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული ორი შეხვედრა (თებერვალსა და ივლისში), სადაც მიმოხილულ იქნა განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, ასევე სამომავლო ინიციატივები.

2024 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ოძისში, საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ისლანდიის პრეზიდენტს გუდნი იოჰანსონს უმასპინძლა. ისლანდიის პრეზიდენტი ადგილზე გაეცნო საოკუპაციო ხაზთან შექმნილ უსაფრთხოების ვითარებას და სახელმწიფო მინისტრისგან მოისმინა დეტალური ინფორმაცია როგორც ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზზე არსებული მდგომარეობის, ასევე საქართველოს ხელისუფლების მიერ სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში გაწეული ძალისხმევის შესახებ. ვიზიტის ფარგლებში განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნა უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი ძალისხმევის გაგრძელების აუცილებლობა.

საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის მიმდინარეობის, მიღწეული შედეგების, ისევე როგორც სამშვიდობო ინიციატივების შემდგომი განვითარების ხედვის გაცნობისა და ინკლუზიური სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, გრძელდებოდა თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის ფორმატში. 2024 წელს სახელმწიფო მინისტრმა კომისიის წევრებს ანგარიში წარუდგინა სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელების მიმდინარეობის, ასევე ინიციატივის ფარგლებში მოქმედი მშვიდობის ფონდის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ასვე აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან და მონაწილეობდა სხდომებში, რომლებზეც ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში განათლების მიღებასთან დაკავშირებული ვითარება, გამოწვევები და სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ძალისხმევა, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის „ახალგაზრდები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის საკითხები განიხილებოდა.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის საანგარიშო პერიოდი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში დასახული ამოცანების გადაჭრის თვალსაზრისით. აღნიშნული ითვალისწინებდა სამოქმედო გეგმის

განხორციელების პროცესის ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას ხუთივე სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში, რაც სტრატეგიის რიგით მეორე, ორწლიანი ციკლის - 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების ეფექტიან დასრულებასა და პირველი შუალედური შეფასების შედეგებს განაპირობებდა.

პირველი სტრატეგიული პრიორიტეტის - **„სახელმწიფო ენა ინტეგრაციისთვის"** ფარგლებში დასახული ამოცანების გადასაჭრელად დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციისა და ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, წარმატებით გაგრძელდა სახელმწიფო ენის სწავლების, ასევე, **ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე** მიმართული კომპლექსური ძალისხმევა. განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღწეული იქნა ხელშესახები შედეგები, როგორც ფორმალური განათლების თითოეულ საფეხურზე, ასევე ზრდასრულთა განათლების მიმართულებებით. კერძოდ:

- საპილოტე რეჟიმში (*2021 წლიდან)* დანერგილი ორენოვანი (ბილინგვური) განათლების შედეგების შეფასების საფუძველზე განვითარდა პროგრამის შესაძლებლობები და გაფართოვდა განხორციელების არეალი და უკვე 34 არაქართულენოვან საბავშვო ბაღსა და 184 სკოლაში წარმატებით ხორციელდება.

- არაქართულენოვან სკოლებში საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ადგილობრივი და ორენოვანი დამხმარე მასწავლებლების გადამზადების პროცესი. მაღალკვალიფიციური კადრების არსებული დეფიციტის დასაძლევად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, მიმდინარე წელს მივლინებულ იქნა 144 კონსულტანტ-მასწავლებელი. შესაბამისად, სრულად დაკმაყოფილდა სკოლების მოთხოვნა. დამატებით, ქართული ენაში გადამზადება გაიარა არაქართულენოვანი სკოლების 655-მასწავლებელმა და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელმა 93 პირმა.

- ეტაპობრივად ხორციელდება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა განათლების ყველა საფეხურზე. გრძელდება საშუალო საფეხურზე დანერგვის პროცესი და სკოლების უზრუნველყოფა შესაბამისი განახლებული სახელმძღვანელოებით ყველა საგანში, რომლებიც აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეა თარგმნილი;

- სახელმწიფო ენის სწავლების პარალელურად სრულად დაცულია ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების უფლება,

როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში, ასევე მოქმედ 298 არაქართულენოვან სკოლასა და სექტორზე.

- ამავდროულად, მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად მიმდინარეობს მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების - ოსური, ასურული, ჩეჩნური, უდიური, ხუნძური - სწავლება 12 საჯარო სკოლაში.

- სკოლამდელი და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2024 წელს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში წელს დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების ფარგლებში განხორციელდა არაქართულენოვანი 20 სკოლისა და 21 საბავშვო ბაღის საპროექტო-სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- ეთნიკური უმცირესობების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მოტივაცია მნიშვნელოვნად აამაღლა სახელმწიფო ენის სწავლების ინტეგრირებული კურსის დანერგვამ. 2024 წელს პროფესიულ სასწავლებლებში ჩაირიცხა 485 არაქართულენოვანი სტუდენტი. საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, პროფესიული განათლების მიღების დამატებითი, უნიკალური შესაძლებლობა შექმნა სკოლების ბაზებზე „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების" ამოქმედებამ, რომლის ფარგლებში ამ ეტაპზე უკვე 49 არაქართულენოვან საჯარო სკოლაში ხორციელდება პროფესიული უნარების საორიენტაციო და სასერტიფიკაციო კურსები.

- საანგარიშო პერიოდში შენარჩუნებული იყო არაქართული სკოლების კურსდამთავრებულთა მაღალი ინტერესი უმაღლესი განათლების მხარდამჭერი საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში მოქმედი ე.წ. „1+4 ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის" მიმართ, რომელშიც 2024 წელს 1577 სტუდენტი ჩაერთო. მიმდინარე საჭიროებებთან შესაბამისობაში უკეთ მოყვანის მიზნით მიმდინარეობს პროგრამის განვითარებაზე მუშაობა. ამავდროულად, სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული ამოცანის შესაბამისად, დაიწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი "1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" კურსდამთავრებულთა და "1+4 სტაჟირების პროგრამის" ბენეფიციართა შემდგომი დასაქმების ფართომასშტაბიანი კვლევა.

- ზრდასრული მოქალაქეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ განავითარა და გააფართოვა მოქმედი პროგრამები. 12 სასწავლო ცენტრში, მობილური ჯგუფების,

დისტანციური თუ ჰიბრიდული სწავლების ფორმებით, ქართული ენის ცოდნის კომპეტენციები 5500-ზე მეტმა მსმენელმა გაიუმჯობესა.

- ქართული ენის პოპულარიზაციისა და შესწავლის მოტივაციის გაზრდის მიზნით შესაბამისი უწყებების მიერ რეგიონებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები, მათ შორის ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიები ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობისა და არსებული შესაძლებლობების თაობაზე. აღნიშნულ კონტექსტში ხაზგასასმელია სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ყველა საინფორმაციო-საკომუნიკაციო მექანიზმის გამოყენებით ინტენსიურ რეჟიმში განხორციელებული კამპანია, სახელწოდებით - „ქართული ენა გვაერთიანებს".

თანასწორობის, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესების ხელშესაწყობად, ძალისხმევა მიმართული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების ფართო ჩართულობის მხარდასაჭერად არსებული საკონსულტაციო მექანიზმების ეფექტიანობის გაძლიერებაზე, როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ისე რეგიონების დონეზე; ასევე მნიშვნელოვან საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე; მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და დეზინფორმაციის გავრცელების პრევენციაზე; ისევე როგორც, საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების ხელშეწყობაზე.

- ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესებში თანასწორი და სრული ჩართულობის უზრუნველსაყოფად ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განხორციელდა რიგი ღონისძიებები, მათ შორის:

  - სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და გავრცელდა საარჩევნო დოკუმენტაცია და შესაბამისი საინფორმაციო მასალები;

  - საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით განხორციელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა გადამზადება; არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა და კომისიების წევრთა სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც.

  - ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩატარდა საინფორმაციო

შეხვედრები საარჩევნო სიახლეებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ;

- ინტენსიურ რეჟიმში წარიმართა საგანმანათლებლო პროექტები და ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელმაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ყველა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მოიცვა.

- სახელმწიფო მინისტრის ჩართულობით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ადგილზე წარიმართა მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრები, გატარებული პოლიტიკის შესახებ მათი მოსაზრებებისა და კონკრეტულ საჭიროებებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით. ასევე ჩატარდა საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების აქტივობების, ტრენინგ-სემინარებისა და თემატური ღონისძიებების რამდენიმე ციკლი - ადამიანის უფლებების, ქალთა გაძლიერების, ანტიდისკრიმინაციის, სამოქალაქო თანასწორობის, დეზინფორმაციის, მედია-წიგნიერების, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე, ჯამში 3000-ზე მეტი ბენეფიციარის მონაწილეობით.

- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პროაქტიული მიდგომისა და კანონმდებლობაზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნილი და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე განთავსებულია 52-მდე საკანონმდებლო აქტი.

- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიზნით გაძლიერდა და გაფართოვდა სახელმწიფო მინისტრის აპარატთან არსებული საკონსულტაციო მექანიზმები ექვსი ძირითადი თემატური მიმართულებით, ახალგაზრდებისა და ქალების გაძლიერება; სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია; მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების მხარდაჭერა; განათლება და სახელმწიფო ენა; კულტურათაშორისი დიალოგის წახალისება. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გააძლიერა სამოქალაქო საზოგადოების და დაინტერესებული აქტორების მხრიდან რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაზიარების, ისევე როგორც სტრატეგიის იმპლემენტაციის ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობები.

- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა სტრატეგიის სამიზნე რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებთან საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოების შემდგომი გაძლიერების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის გაუმჯობესებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე.

- ეთნიკური უმცირესობების ენებზე ინფორმირება უწყვეტად ხორციელდებოდა სატელევიზიო და ინტერნეტ-მაუწყებლობის მეშვეობით. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადებული მასალები ამავდროულად რეგიონული ტელევიზიებითაც ვრცელდებოდა.

- სახელმწიფოს დაფინანსებით გაგრძელდა და რეგულარულად გამოიცემა ყოველკვირეული გაზეთები: სომხურენოვანი „ვრასტანი" *(ტირაჟი 3500 ეგზ.)* და აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი" *(ტირაჟი 3000 ეგზ.)*. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ განხორციელებულმა გაზეთების ეფექტიანობის შეფასების კვლევამ, გამოავლინა საჭიროებები გაზეთების შემდგომი განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნებთან ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რასაც დაეფუძნა გაზეთების დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა.

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საჯარო სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გაცნობის, პროფესიული უნარების განვითარების და საქმიანი გამოცდილების შეძენის მხარდასაჭერად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აგრძელებს „1+4 სტაჟირების პროგრამას". 2021-2023 წლებში პროგრამაში ჩართული იყო 90-მდე ახალგაზრდა, ბენეფიციართა 74%-ს წარმოადგენდნენ გოგონები. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სტაჟირება გახდა ანაზღაურებადი.

ადგილობრივი მოსახლეობის **სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა და პროგრამებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით** ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა მრავლობითი ინფრასტრუქტურული პროექტები და მრავალკომპონენტიანი საინფორმაციო კამპანიები კარდაკარ ფორმატში. კერძოდ,

- ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონების ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში გაგრძელდა შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარე განათების

რეაბილიტაცია, სკვერებისა და გასართობი სივრცეების მოწყობა და სხვა. *ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მასშტაბით 2024 წელს განხორციელდა (დასრულდა) 123 მლნ. ლარის ღირებულების პროექტები*

- ეთნიკური უმცირესობების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და კოორდინირებით, განხორციელდა სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ უპრეცედენტოდ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლის ფარგლებში 2024 წლის განმავლობაში 60-მდე შეხვედრა გაიმართა, 170-მდე სოფლის 3000-ზე მეტი წარმომადგენელს მიეწოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო, სოციალური, ჯანდაცვის, ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის და სხვა საკითხებზე;

- შესაბამის დარგობრივ უწყებებთან თანამშრომლობით, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა სხვადასხვა ტიპის 30-ზე მეტი საინფორმაციო/საცნობარო მასალა. ეთნიკური უმცირესობების ენებზე ხელმისაწვდომია სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდი, რაც არაქართულენოვან მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს მიიღოს ინფორმაცია მიზნობრივი სოციალური დახმარების შესახებ.

კულტურათაშორისი დიალოგის პრიორიტეტის ფარგლებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენის, გაზიარების, შემდგომ განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სხვადასხვა ეთნოსს შორის კულტურული ურთიერთობების გაძლიერებაზე მიმართულ ღონისძიებებს. სახელმწიფო დაფინანსებით ხელშეწყობილია მუზეუმების *274 168 ლარი)* და თეატრების *(2 251 000 ლარი)* საქმიანობა, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მუნიციპალურ დონეზე.

2024 წლის სექტემბრიდან სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დაიწყო 2025-26 წლების სამოქმედო გეგმაზე აქტიური მუშაობა დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, კომპლექსური თემატური კვლევების შედეგებისა და სტრატეგიის შუალედური შეფასების მიმდინარე პროცესის ფარგლებში გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, ღია და ინკლუზიური მიდგომით, მათ შორის, უზრუნველყოფილი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობა.

2024 წელს, საერთაშორისო ინსტრუმენტების ანგარიშგების ფარგლებში ევროპის საბჭომ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე გამოაქვეყნა „მეოთხე

მოსაზრება საქართველოზე" (4th Opinion on Georgia), რომელშიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული მდგომარეობა პოზიტიურად არის შეფასებული, ხაზგასმულია მიღწეული პროგრესი. აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით და კოორდინაციით მომზადდა საქართველოს მთავრობის კომენტარების კონსოლიდირებული დოკუმენტი, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის სამდივნოს წარედგინა. 2024 წლის 19 ნოემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ზემოაღნიშნულ ანგარიშზე დაყრდნობით მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დასრულდა საქართველოს მიერ კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მეოთხე ციკლი; რეზოლუციაში წარმოდგენილი რეკომენდაციის აღსრულება გათვალისწინებულია შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში, რაც შესაბამისად აისახება მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაშიც.